



N გ-112
20/01/2023

112-გ-2-202301200910



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ ვენერა მეტრეველს

ქალბატონო ვენერა,

შპს „საქართველოს მელიორაცია“ (შემდგომში კომპანია) განიხილა 2022 წლის 22 დეკემბრის N21/8104 წერილი და მასზე თანდართული, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით წარმოდგენილი, განახლებული „საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის პროექტი“, „ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა“ და სკოპინგის განცხადება.

გაცნობებთ, რომ „საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის პროექტთან“ და „ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნულ გეგმასთან“ დაკავშირებით, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გაგვაჩნია.

რაც შეეხება სკოპინგის ანაგარიშს, მისი 3.2.2 ქვეთავის (შესაძლო ზემოქმედების შეფასება) ცხრილში #2 (სგშ-ს ანაგარიშში განსახილველი შესაძლო ზემოქმედებები) მოცემულ ჰესების კაშხლების მშენებლობის და ესპლუატაციის სტრესის ფაქტორში, წითლად მონიშნულ წყლის ხარისხში აღნიშნულია „მეთილის ვერცხლისწყლის კონცენტრაციის ზრდა“.

ჩვენთვის ცნობილი ინფორმაციით, ვერცხლისწყალი და მისი ორთქლი გარემოში ხვდება ადამიანის საქმიანობის შედეგად, რაც წვიმის წვეთებთან და თოვლთან ერთად აკუმულირდება ნიადაგზე და წყალსატევებში, სადაც ბაქტერიების ზემოქმედებით გადაიქცევა მეთილვერცხლისწყლად. იბადება კითხვა, თუ მეთილვერცხლისწყალი ბუნებრივ პირობებში ჰესების კაშხლების მშენებლობისა და ესპლუატაციის პერიოდში ხვდება წყალში, მისი მოხვდრა შესაძლებელია ასევე არსებულ წყალსაცავებშიც, რაც მათი ფუნქციონირების ხანგრძლივი დროის მანძილზე გაჯერებული უნდა იყოს აღნიშნული ტოქსიკური ქიმიური შენაერთით. აღნიშნული ნაკლებ დასაჯერებელია, ვინაიდან ვერცხლისწყლის ბუნებრივ წყაროს ძირათადად ვულკანის ამოფრქვევა წარმოადგენს. წყალსაცავებში მეთილის ვერცხლისწყლის კონცენტრაციის ზრდის შესახებ არ არის განმარტება წყალსაცავების შესახებ არსებულ ლიტერატურულ წყაროებში და არც სკოპინგის ანაგარიშის 3.2.8 ქვეთავში (წყალი).



მიგვაჩნია, რომ მეთილის ვერცხლისწყლის კონცენტრაციის ზრდის შესახებ ინფორმაციის მოყვანა სკოპინგის ანგარიშში საჭიროებს დამატებით შესწავლას და გადამოწმებას.

პატივისცემით,

გიორგი ხუბუა

ექსპლუატაციის დირექტორი

